



# კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო  
4 მაისი 2021

## ეკონომიკა

**ეკონომიკური ზრდა:** საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2021 წლის მარტში რეალური მშპ წლიურად 4.0%-ით გაიზარდა. ამასთან, 2021 წლის პირველ კვარტალში საქართველოს ეკონომიკა 4.2%-ით შემცირდა. მარტში ზრდა დაფიქსირდა საფინანსო & სადაზღვევო საქმიანობის, ვაჭრობის, დამამუშავებელი მრეწველობის, უძრავი ქონების, ელექტროენერჯის მიწოდების, ტრანსპორტის და კომუნიკაციის სექტორებში. ამასთან, კლება დაფიქსირდა შემდეგ სექტორებში: მშენებლობა, სამთომომპოვებითი მრეწველობა და ხელოვნება, გართობა & დასვენება. რეალური მშპ-ის ყოველთვიური მაჩვენებელი იანვარიშუბა დღგ-ის ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების საფუძველზე.

**საბანკო სექტორი:** კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 2021 წლის მარტში წლიურად 11.5%-ით, ხოლო წინა თვესთან შედარებით 1.6%-ით გაიზარდა და 39.0 მლრდ ლარი შეადგინა. გაცლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების პორტფელი წლიურად 7.7%-ით გაიზარდა (+0.9% თ/თ). სექტორების მიხედვით, კორპორატიული დაკრედიტების წლიური ზრდის ტემპი 5.8%-მდე შენედა, ხოლო საცალო სესხები წლიურად 9.7%-ით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით). ამასთან, იპოთეკური სესხების გაცემები წლიურად 129.3%-ით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით). 2021 წლის მარტში სესხების დოლარიზაციამ 55.1% (-3.4133 წ/წ და -0.1133 თ/თ) შეადგინა და უმოქმედო სესხები 2.4%-ს გაუტოლდა (+0.1933 წ/წ და -0.1533 თ/თ).

საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტები 2021 წლის მარტში 21.7%-ით გაიზარდა, ხოლო წინა თვესთან შედარებით 1.0%-ით შემცირდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით) და 36.2 მლრდ ლარი შეადგინა. ამასთან, ლარის დეპოზიტების წლიური ზრდა მცირედით შენედა 35.8%-მდე, ხოლო უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების ზრდა 14.5%-მდე დაჩქარდა. ამასთან, მარტში დეპოზიტების დოლარიზაციამ 63.5% შეადგინა (-2.8233 წ/წ და +1.8233 თ/თ).


**მონეტარული პოლიტიკა:** საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2021 წლის 28 აპრილის სხდომაზე რეფინანსირების განაკვეთი 1.03%-ით გაზარდა 9.5%-მდე. რეგულატორის განმარტებით, ინფლაციაზე აღმავალი ზეწოლა ნარჩუნდება საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობპროდუქტებსა და სურსათის ზოგიერთ ჯგუფებზე ფასების ზრდის, პანდემიასთან დაკავშირებული წარმოების საშუალო ხარჯების ზრდის და ლარის გაუფასურების გამო. სებ-მა გადაწყვეტილების მიღებისას ასევე გაითვალისწინა ტურიზმის აღდგენასთან დაკავშირებული მაღალი გაურკვეველობა და ფისკალური დეფიციტის მაღალი დონე. 2021 წლის მარტში წლიურმა ინფლაციამ 7.2% შეადგინა და სებ-ის პროგნოზით, 2021 წელს ინფლაცია საშუალოდ 6.5%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი. ამასთან, მაღალი დოლარიზაციის შესამცირებლად, სებ-ი ივლისის თვიდან, უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმას ინდივიდუალურად, ცალკეული კომერციული ბანკისთვის, დეპოზიტების დოლარიზაციის მიხედვით განსაზღვრავს. სებ-ის განმარტებით, აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს ლარის დეპოზიტებზე კონკურენციის გააქტიურებას, ეტაპობრივად ლარზე მოთხოვნის ზრდასა და სავალუტო ბაზარზე წნეხის შერბილებას. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2021 წლის 23 ივნისს ჩატარდება.

### ეკონომიკური ინდიკატორები

	2018	2019	2020
მშპ (%-ლი ცვლილება)	4.8%	5.0%	-6.2%
მშპ ერთ სულზე (ppp)	14,584	15,613	14,918
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,722	4,696	4,275
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	1.5%	7.0%	2.4%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.3	3.5	3.9
მიმდინარე ანვარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	6.8%	5.5%	12.3%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.3%	2.1%	9.3%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	38.9%	40.4%	60.0%

წყარო: ოფიციალური მონაცემები

### მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

### საერთაშორისო რეიტინგები, 2019-21

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №7 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №12 (მირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №74

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

### საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

 <b>BB</b> უარყოფითი დასაბუთებული თებერვალი-2021	 <b>Ba2</b> სტაბილური დასაბუთებული აგვისტო-2020	 <b>BB</b> უარყოფითი დასაბუთებული თებერვალი-2021
--------------------------------------------------------	-------------------------------------------------------	--------------------------------------------------------

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები



## ფულადი ბაზარი


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბენჩმარკ ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2021 წლის 27 აპრილს 5-წლიანი 35 მლნ ლარის (10.1 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 2.1-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.1783პპ-ით გაიზარდა და 8.650% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2021 წლის 25 მაისს, სადაც 5-წლიანი 35 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

### სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2021 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება*
6-თვე	45	120	90
1-წელი	45	120	540
2-წელი	60	160	1,270
5-წელი	148	280	2,373
10-წელი	44	56	1,262
<b>სულ</b>	<b>342</b>	<b>736</b>	<b>5,535</b>


წყარო: ფინანსთა სამინისტრო  
შენიშვნა: \* 2021 წლის 31 მარტის მდგომარეობით

### სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სტბ

### განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სტბ

### მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სტბ

### ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სტბ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




## ობლიგაციები


**კორპორატიული ევროობლიგაციები:** საქართველოს ბანკის ჯგუფის ევროობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 3.02%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 106.38 (+0.10% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ევროობლიგაციები (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 101.36 (-0.02% წინა კვირასთან შედარებით), 5.60%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 105.83 ფასად (+0.04% წინა კვირასთან შედარებით), 2.72%-იანი შემოსავლიანობით.

**საქართველოს სუვერენული ევროობლიგაცია (GEORG)** დაიხურა ფასით 100.63 (+0.55% წინა კვირასთან შედარებით), 2.61%-იანი შემოსავლიანობით.



წყარო: Bloomberg



წყარო: Bloomberg

შენიშვნა: სილქნეტის დურაციის გამოთვლისას ვადიანობის განსაზღვრისთვის აღებულია გამოსყიდვის თარიღი

## ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომწვევი	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB/BB/Ba2	100.63	2.61	167.11
GRAIL 07/22	USD	500	7.750%	Jul-22	BB-/B+/-	105.83	2.72	243.83
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/B+/-	106.38	3.02	281.95
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/B-	108.63	9.22	741.91
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-B/B2	101.36	5.60	512.32
SILKNET 04/24	USD	200	11.000%	Apr-24	B-/B1	109.32	7.38	600.48
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/B+/-	107.68	3.15	263.56
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/B-	108.30	9.47	731.80
GGU 07/25	USD	250	7.750%	Jul-25	B+/B/-	105.49	6.25	535.78

ადგილობრივი ობლიგაციები								
KTW 12/22	USD	10	9.00%	Dec-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
GWP 12/21	GEL	30	12.50%	Dec-21	BB-/B+/-	n/a	n/a	n/a
M2CA 12/21	USD	30	7.50%	Dec-21	-/-/-	100.00	7.50	n/a
M2RE 10/22	USD	35	7.50%	Oct-22	-/-/-	100.43	7.20	n/a
GLC 06/21	USD	5	6.50%	Jun-21	-/-/-	n/a	n/a	n/a
GLC 08/21	USD	10	7.50%	Aug-21	-/-/-	100.00	7.50	n/a
GLC 08/22	USD	10	7.50%	Aug-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora Trade 08/21	GEL	25	9.00%	Aug-21	-/-/B+	n/a	n/a	n/a
SILKNET 04/24	GEL	34	12.50%	Apr-24	B+/B1/-	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	13.00%	Dec-23	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Lisi Lake Development	USD	12	8.00%	Dec-21	-/-/B+	n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Swiss Capital 09/21	GEL	10	14.25%	Sep-21	B-/B+/-	100.00	14.25	n/a
EVEX 11/24	GEL	50	12.10%	Nov-24	-/-/BB	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg






## აქციები

**საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN)** აქციები დაიხურა 10.22 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -6.92% წინა კვირასთან შედარებით და -5.55% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 180 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 10.22 – 11.16 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 39 ათასი აქცია შეადგინა.

**Georgia Capital-ის (CGEO LN)** აქციები დაიხურა 5.63 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -0.35% წინა კვირასთან შედარებით და -1.75% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 288 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 5.60 – 5.80 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 33 ათასი აქცია შეადგინა.

**თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN)** აქციები დაიხურა 9.74 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -8.11% წინა კვირასთან შედარებით და -4.13% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 1.0 მილიონს გადააჭარბა, GBP 9.74 – 10.94 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 81 ათასი აქცია შეადგინა.





## აქციები

### აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	ნ თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2020F	2021F	2020F	2021F
Bank of Georgia	BGEO	GBP	10.22	503	13.9%	2.6%	-16.2%	7.46x	4.32x	0.90x	0.74x
TBC	TBC	GBP	9.74	537	6.0%	18.9%	-22.1%	5.85x	4.53x	0.81x	0.72x
Sberbank	SBER	USD	15.74	84,945	55.8%	47.7%	8.4%	8.56x	6.21x	1.30x	1.20x
Halyk Bank	HSBK	USD	14.32	4,208	43.5%	59.1%	22.9%	5.75x	4.97x	1.17x	1.09x
VTB Bank	VTBR	USD	1.33	8,593	70.8%	40.5%	38.9%	8.89x	3.56x	0.46x	0.43x
Akbank	AKBNK	TRY	4.88	25,376	2.3%	-17.1%	-29.6%	3.91x	3.39x	0.39x	0.37x
Garanti	GARAN	TRY	7.21	30,282	9.2%	-13.5%	-30.5%	4.15x	3.54x	0.44x	0.43x
Isbank	ISCTR	TRY	4.87	21,915	-4.7%	-1.6%	-30.4%	3.01x	2.76x	0.30x	0.30x
PKO	PKO	PLN	35.27	44,088	86.1%	60.2%	22.8%	15.29x	12.85x	0.97x	0.97x
PEKAO	PEO	PLN	80.04	21,008	89.4%	54.0%	31.0%	17.37x	13.45x	0.83x	0.80x
Millennium	MIL	PLN	4.14	5,022	91.7%	47.1%	26.6%	70.64x	6.59x	0.55x	0.64x
Mbank	MBK	PLN	235.00	9,956	103.5%	7.3%	31.1%	39.98x	15.11x	0.58x	0.57x
BRD	BRD	RON	15.80	11,011	38.8%	39.8%	6.3%	13.59x	10.78x	1.20x	1.44x
Banca Transilvania	TLV	RON	2.49	14,287	31.7%	44.0%	10.7%	14.64x	9.73x	1.55x	1.30x
OTP	OTPD	USD	22.40	12,544	-1.8%	-1.8%	-1.8%	12.52x	10.13x	0.70x	0.63x
Komercni	KOMB	CZK	652.50	124,007	37.7%	24.5%	-0.7%	15.37x	13.52x	1.08x	1.04x
<b>საშუალო</b>								<b>15.44x</b>	<b>7.84x</b>	<b>0.83x</b>	<b>0.79x</b>
<b>მედიანა</b>								<b>10.70x</b>	<b>6.40x</b>	<b>0.82x</b>	<b>0.73x</b>

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

### ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	ნ თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2020F	2021F	2020F	2021F
Georgia Capital	CGEO	GBP	5.63	270	52.2%	34.0%	4.3%	na	na	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	12.60	458	-0.4%	-3.1%	-2.7%	na	na	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	8.09	16,507	-1.7%	-1.1%	-29.4%	3.17x	3.01x	0.42x	0.37x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	34.40	518	30.5%	18.3%	10.4%	na	6.84x	1.19x	1.08x
Eurazeo	RF	EUR	69.30	5,476	77.5%	58.7%	24.9%	33.04x	9.50x	0.99x	0.87x
Carlyle Group	CG	USD	42.66	15,126	71.2%	82.0%	35.7%	22.98x	16.82x	7.05x	4.23x
<b>საშუალო</b>								<b>19.73x</b>	<b>9.04x</b>	<b>2.41x</b>	<b>1.64x</b>
<b>მედიანა</b>								<b>22.98x</b>	<b>8.17x</b>	<b>1.09x</b>	<b>0.98x</b>

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეხარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთვნიან ინდუსტრიას, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოვლენი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოფს დაცვა.

**გალტ ენდ თაგარტი**  
**მისამართი:** აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,  
საქართველო  
**ტელ:** + (995) 32 2401 111  
**ელ. ფოსტა:** gt@gt.ge